ხელშეკრულება

ქ. თბილისი

24 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო"ს/კ 205232238 წარმოდგენილი მისი საოპერაციო დირექტორის მოადგილის აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში ზაზა ტყეშელაშვილის (დაბადებული 1975 წლის 28 აგვისტოს მაიაკოვსკში, პირადობის მოწმობა №ბ 0396508, პირადი ნომერი №60001032162, გაცემული ქუთაისის შს განყოფილების მიერ 2002 წლის 3 აპრილს, მცხოვრები ქ. ქუთაისი ს. კლდიაშვილის ქ. №46) სახით, ქ. თბილისის ნოტარიუს ნინო გვაზავას მიერ 2011 წლის 10 ოქტომბერს დამოწმებული რწმუნებულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №111101475, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 87952803740511) საფუძველზე, შემდგომში მოხსენიებული როგორც "დამქირავებელი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,იბერი იგ" ს/კ 203850984, წარმოდგენილი მისი დირექტორის ილია გოგოლაშვილის სახით დაბადებული 26.09.1951 წელს, პირადი №01011043996, პირადობის მოწმობის №ბ0433550, გაცემული თბილისის ისანი სამგორის შ.ს სამმართველოს მიერ 22.12.2003 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი კორპუსი 5, ბინა N40, შემდგომში მოხსენიებული როგორც ,,გამქირავებელი", ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით "გამქირავებელი" შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო"-ს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს დროებით სარგებლობაში 10 (ათი) წლის ვადით, მის კუთვნილ უძრავ ქონებას შემდგომში "ქირავნობის ობიექტი", მდებარე: ქალაქი თბილისი გამზირი მოსკოვი N5-ის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართიდან კერძოდ: 232.29 კვ.მ-დან 200 კვ.მ-ს. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.17.12.003.007.01.500.
1.2. "ქირავნობის ობიექტი"-ს მახასიათებლებია: ზონა: თბილისი 01, სექტორი: ისანი 17, კვარტალი: 12, ნაკვეთი: 003/007; კოდი 01/500, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2910.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი: 3; შენობა-ნაგებობი: N1 -დან N29-ის ჩათვლით.

2. ანგარიშსწორება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,დამქირავებელი" უხდის ,,გამქირავებელს" 6225 (ექვსი ათას ორას ოცდახუთი) ლარს. აღნიშნული ქირის თანხა მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადს/ებს, რომელსაც გადაიხდის "გამქირავებელი".
2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით "გამქირავებლის" ანგარიშზე: სს "საქართველოს ბანკი", ანგარიშის ნომერი: GE43BG0000000273560600.
ქირის თანხის გადახდა განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, მხოლოდ გამარტივებული ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
2.3. "გამქირავებელი" ადასტურებს რომ, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში ზემოაღნიშნულ ქირის თანხაში შედის დღგ, ასევე „გამქირავებელი" ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს „დამქირავებელს".
2.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ქირის თანხის გადახედვა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) წლის შემდეგ.
2.6 მხარეები თანხმდებიან, რომ უფლებრივად უნაკლო მდგომარეობის შესახებ (მესამე პირთა მოთხოვნებისაგან თავისუფალი) ,,ქირავნობის ობიექტის" მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ, მხოლოდ ,,გამქირავებლის" მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ,,დამქირავებელი" ,,გამქირავებელს" გადაუხდის წინასწარ სამი თვის ქირის თანხას 18675 (თვრამეტი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, აღნიშნული თანხა გამოიქვითება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის დადგომიდან 9 თვის

განმავლობაში მხარეთა მიერ დადგენილი და შეთანხმებული ქირის თანხებიდან ყოველ თვეზე თანაბარწილად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან 10(ათი) წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ აღნიშნული ვადის ათვლა განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული ქირავნობის ობიექტის სრულად გადაცემის შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან, რომლის შედგენაც უნდა მოხდეს 2013 წლის 15 მარტს.
3.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთი მხარე არ განაცხადებს ამ ხელშეკრულების აღარ გაგრძელების სურვილს, იგი ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად იმავე ვადით;
3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირავნობის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1. "გამქირავებელი" ვალდებულია:
4.1.1. გადასცეს მიღება-ჩაბარების აქტით "დამქირავებელს" 2013 წლის 15 მარტს ,,დამქირავებელთან" შეთანხმებული და მოწონებული დიზაინის მიხედვით გარემონტებული "ქირავნობის ობიექტი" .
4.1.2.,,ქირავნობის ობიექტში" საკუთარი ხარჯით და მასალით უზრუნველყოს გათბობის სისტემის სრული მონტაჟი.
4.1.3 ,,ქირავნობის ობიექტი''-ს წინა ფასადი გააკეთოს ალუმინის ვიტრაჟით, ხოლო ყველა სხვა სამუშოები, მათ შორის ,,ქირავნობის ობიექტის" რემონტი, დიზაინი და ოთახების განლაგება განახორციელოს ,,დამქირავებელთან" წინასწარი შეთანხმებით.
4.1.4 გადასცეს "დამქირავებელს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო "ქირავნობის ობიექტი";
4.1.5. ,,ქირავნობის ობიექტის "დამქირავებლისათვის" გადაცემის მომენტიდან გადასცეს "დამქირავებელს" ქირავნობის ობიექტზე არსებული საკეტებისა და გასაღებების ყველა ეგზემპლარი;
4.1.6. საკუთარი ხარჯებით შეასრულოს ქირავნობის ობიექტისა გარე და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების ავარიული რემონტი.
4.1.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით "გამქირავებელი" "დამქირავებელს" აძლევს ექსკლუზიურ უფლებას: მიუთითოს თავისი მდებარეობა და საქმიანობა შესაბამისი ფირნიშებისა თუ სარეკლამო სტენდების/აბრების მეშვეობით როგორც შენობაში, შენობაზე, ისე შენობის ირგვლივ და შენობის წინ (აქ იგულისხმება სარეკლამო აბრების განთავსებაც შენობის სახურავზე და შენობის ნებისმიერ კედელზე);

4.2. "გამქირავებელი" უფლებამოსილია:
4.2.1. მოსთხოვოს "დამქირავებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვა;
4.2.2. მოსთხოვოს "დამქირავებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირის დროულად და სრულად გადახდა.

4.3. "დამქირავებელი" ვალდებულია:
4.3.1. გადაიხადოს გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის და სხვა მიმდინარე კომუნალური გადასახადები ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
4.3.2. შეინარჩუნოს "ქირავნობის ობიექტი" გამართულ მდგომარეობაში ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;
4.3.3. აწარმოოს "ქირავნობის ობიექტის" მიმდინარე რემონტი საკუთარი ხარჯებით;
4.3.4. ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს "გამქირავებელს" ქონება გამართულ მდგომარეობაში ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით;
4.3.5. დროულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული ქირის თანხა;

4.4. "დამქირავებელი" უფლებამოსილია:

4.4.1. შეუფერხებლად ისარგებლოს ქირავნობის ობიექტში არსებული კომუნიკაციებით, მას ასევე, უფლება აქვს გაიყვანოს შეუფერხებლად მისი საქმიანობის ფუნქციონირებისათვის საჭირო და აუცილებელი კომუნიკაციები (კავშირისათვის აუცილებელი ყველა სახის გაყვანილობა);
4.4.2. მოაწყოს და გააფორმოს ქირავნობის ობიექტი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად;
4.4.3. მიუთითოს თავისი მდებარეობა და საქმიანობა შესაბამისი ფირნიშებისა თუ სარეკლამო სტენდების/აბრების მეშვეობით როგორც შენობაში, შენობაზე, ისე შენობის ირგვლივ და შენობის წინ;
4.4.4. მოსთხოვოს "გამქირავებელს" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.
4.4.5. "დამქირავებელს" "გამქირავებლის" თანხმობის გარეშე არა აქვს "ქირავნობის ობიექტის" რეკონსტრუქციის უფლება.

5. ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა "გამქირავებლის" ინიციატივით დაიშვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ,,დამქირავებელი" არ იხდის ქირას დათქმული ვადიდან 30 დღის განმავლობაში;
5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა "დამქირავებლის" ინიციატივით დაიშვება:
ა) თუ მან დაკარგა ინტერესი ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირავნობის "ობიექტისადმი";
ბ) თუ "გამქირავებელი" დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.
5.3. ორივე მხარეს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ "ქირავნობის ობიექტი" გამოუსადეგარი გახდა ექსპლუატაციისათვის;
5.4. ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ ამ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში (<u>იგულისხმება მხოლოდ 5.1. და 5.2 მუხლები</u>), მხარეები ვალდებულნი არიან 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება ამგვარი წერილის მეორე მხარისათვის გადაცემიდან 30 დღის გასვლის შემდეგ;
5.5. ,,დამქირავებელი" უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.5 პუნქტით განსაზღვრული პირობი/ებ-ის დადგომის შემთხვევაში ცალმხრივად, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების და პასუხისმგებლობის გარეშე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
5.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ წერილობით ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. სადაო საკითხების სასამართლო განხილვის შემთხვევაში სასამართლო ხარჯები დაეკისრება წაგებულ მხარეს.
6.3. ,,დაქირავებულის" მიერ ფართის დატოვების შემთხვევაში იგი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულების 4.3.4. პუნქტის მოთხოვნები.
6.4. "დამქირავებელი" მისი ბრალით ქირავნობის ობიექტში ხანძრის გაჩენისას ვალდებულია აანაზღაუროს ფაქტობრივად მიყენებული ზიანი.
6.5 იმ შემთხვევაში თუ ,,გამქირავებელი" 2013 წლის 15 მარტს არ ჩააბარებს ,,დამქირავებელს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტს, ,,გამქირავებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობის/ებ-ის შესრულების გაჭიანურებისას, თავის არიდებისას ან არაჯეროვნად შესრულებისას იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ უკან დაუბრუნოს „დამქირავებელს" მისგან მიღებული ყველა თანხა, აანაზღაუროს ყველა სახის ზიანი და გადაუხადოს ,,დამქირავებელს" პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის თანხის სამმაგი ოდენობით.
6.6. ,,გამქირავებელს" პირგასამტეხოლოს გადახდა არ ათავისუფლებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

7. ფორს – მაჟორი

7.1. ამ ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ნებისმიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა არ მიიჩნევა ხელშეკრულების დარღვევად, თუ ამგვარი შეუსრულებლობა პირდაპირი შედეგია ფორს-მაჟორული გარემოებისა, რომელიც აღნიშნულ მხარეს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა სრული ძალისხმევის მიუხედავად. ეს განსაკუთრებული გარემოებები მოიცავს,

მაგრამ არ შემოიფარეგლება, შემდეგი შემთხვევებით: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურებები, აგრეთვე ომი, სამხედრო ღონისძიებები, გაფიცვა, აჯანყება, სახელმწიფო საკანონმდებლო აქტი ან მოქმედება. ამ მუხლიდან გაუთვალიწინებელ ფორს მაჟორულ გარემოებებთან დაკავშირებით მხარეები გამოიყენებენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესებს.
7.2. მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას თავისუფლდება ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რაზეც გავლენა იქონია ფორს-მაჟორულმა გარემოებამ.
7.3. მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორულ გარემოების დადგომას უფლებამოსილია მიენიჭოს მიზანშეწონილი გახანგრძლივებული ვადა ამგვარი გარემოებებით შეფერხებული ან დაგვიანებული ვალდებულების შესასრულებლად.

8. დავათა გადაჭრა

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მეშვეობით. მხარემ, რომელიც გადაწყვეტს დავის გადაჭრას სასამართლოს მეშვეობით, უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამ გადაწყვეტილების შესახებ არა ნაკლებ 30 (ოცდაათი) დღისა სასამართლოში სასარჩელო განცხადების (განცხადების) შეტანამდე. მხარეები განაგრძობენ დავის გადაჭრის მცდელობას არაფორმალურად ამ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში.

9. ზოგადი პირობები

9.1. "დამქირავებლი" "ქირავნობის ობიექტს" გამოიყენებს ოფისად.
9.2. ამ ხელშეკრულების ხელმომწერნი "დამქირავებლის" და "გამქირავებლის" სახელით წარმოადგენენ და ამტკიცებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ეს ხელშეკრულება და დაუქვემდებარონ მხარეები აქ მოცემულ ვალდებულებებს.
9.3. სასამართლო ორგანოების მიერ ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის უკანონოდ, ძალადაკარგულად ან შეუსრულებლად ცნობამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ამ ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის კანონებზე, უფლებამოსილება-ზე ან შესრულებაზე.
9.4. ამ ხელშეკრულების შესწორებებს ძალა არ აქვთ თუ ისინი არ არიან წარმოდ-გენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ გაუქმებულია მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა შეთანხმება.

9.6. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც თითოეულს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულების 2.6 და 3.1 პუნქტებით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყრელ ნაწილს.

დამქირავებლის სახელით

ხელმოწერა

24.01.2136

თარიღი

გამქირავებლის სახელით

ხელმოწერა

24.01.2136.

თარიღი

მისამართი თბილისი, მოსკოვის გამზ. კ5 ბ40

მონმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის ისანი-
სამგორის შ.ს.სამმართველო

გაცემის თარიღი 22.12.2003წ.

მოქმედების ვადა
უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმონერა

საქართველოს რესპუბლიკ
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01011043996

სახელი იღია

გვარი გოგოლაშვილი

დაბადების თარიღი 26.09.1951წ

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ---

N° ბ 0433550

პირადი ხელმოწერა

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.17.12.003.007.01.500**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016850296 - 08/12/2016 15:00:05

მომზადების თარიღი
08/12/2016 15:16:51

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	ისანი			
01	**17**	**12**	**003/007**	**01/500**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 5

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:2910.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **3;**
შენობა-ნაგებობები: **N1-დან N29-ის ჩათვლით**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012805636 , თარიღი 17/09/2012 12:08:05
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/09/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N311251 , დამოწმების თარიღი:21/08/2012 , ქ. თბილისის მერია სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური
- ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ 2004 წლის 4 მარტს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N23/225-ი

მესაკუთრეები:
შპს "იბერი იგ" , ID ნომერი:203850984

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
შპს "იბერი იგ"	საკუთრება	**არასაცხოვრებელი ფართი**	**სართული1,** 232.29 კვ.მ.	

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016734948 თარიღი 25/10/2016 13:37:33

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი204854595;
მესაკუთრე: **შპს "იბერი იგ"** 203850984;
საგანი:არასაცხოვრებელი ფართი სართული1, ფართი: 232.29 კვ.მ. ;

იპოთეკის ხელშეკრულება N1231231179966, დამოწმების თარიღი25/10/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/10/2016

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013138923 თარიღი 01/04/2013 12:37:47	**დამქირავებელი: შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო"**205232238; **მესაკუთრე: შპს "იბერი იგ"** 203850984; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 232.29 კვ.მ.-დან 200კვ.მ; ვადა:10 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/04/2013	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი24/01/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** **ცვლილებები ქირავნობის ხელშეკრულებაში, დამოწმების თარიღი01/04/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014438079 თარიღი 18/08/2014 15:22:26	**დამქირავებელი: შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო"**205232238; **მესაკუთრე: შპს "იბერი იგ"** 203850984; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 232.29 კვ.მ.-დან ფართი 15.63კვ.მ; ვადა:10 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/08/2014	**ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი18/08/2014, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ რ ე დ ო“-ს სამგორის ფილიალი

პანდუსის მოწყობის პროექტი

ქ. თბილისი,
მოსკოვის გამზირი №5

2017 წელი

შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ რ ე დ ო “-ს სამგორის ფილიალი

პანდუსის მოწყობის პროექტი

ქ. თბილისი,
მოსკოვის გამზირი №5

აღმასრულებელი დირექტორი: თ. ხუბუა

არქიტექტორი:  ნ. ბერიძე

2017 წელი



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118				2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედო“	სამგორის ფილიალი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია: მპრ. / ფურც.: ა-1 / ფურც.რ: 10
			ბენ-ბებმა	


01. 17. 12. 003. 007
051 1
201 1
211 1
261 1
011 5
291 1
251 1
271 1
i=8 %
100
60
150
308
216
900
არსებული ბაძანის ხაზვარი
ტროტუარი



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118				2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედო“	საქართველოს ფილიალი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია: პ.პრ. / შურც.: ა-2 / შურც.რ: 10
			არსებული გეგმა	

საპროექტო გეგმა
მ. 1:100



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“		ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-60,მე-17 კორპ. ბინა 118				2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ კ რ ე დ ო “	სამგორის ფილიალი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5		
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც.	ფურც.რ
			საპროექტო გეგმა	მ.პრ.	ა-3	10

გვერდითა ფასადი (არსებული)
მ. 1:100



გვერდითა ფასადი (საპროექტო)
მ. 1:100



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118						2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედო“	სამგორის ფილიალი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5		
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც.	ფურც.რ
			გვერდითა ფასადი არსებული-საპროექტო	მპრ.	ა-6	10

ფასადი მოსკოვის გამზირის მხრიდან (არსებული)

მ. 1:100



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118					2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედო“	სამგორის ფილიალი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5	
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც.	ფურც.რ
			ფასადი მოსკოვის გამზირის მხრიდან (არსებული)	მ.პრ.	ა-4	10

ფასადი მოსკოვის გამზირის მხრიდან (საპროექტო)

მ. 1:100



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118					2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ კ რ ე დ ო “	საშგორის ფილიალი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5	
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც. / ფურც.რ
			ფასადი მოსკოვის გამზირის მხრიდან (საპროექტო)	მპრ.	ა-5 / 10

არსებული ხედი



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118					2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ რ ე დ ო“	გარდაბნის ფილიალი ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №38	
ინჟინერი		თ. ხუბუა			
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც.	ფურც.რ
			არსებული ხედი	მ.პრ.	ა-7	10

საპროექტო ხედი



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118					2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ რ ე დ ო“	გარდაბნის ფილიალი ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №38	
ინჟინერი		თ. ხუბუა			
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	შურც.	შურც.რ
			საპროექტო ხედი	მ.პრ.	ა-8	10

საპროექტო ხედი



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118					2017 წ.
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ კ რ ე დ ო “		გარდაბნის ფილიალი ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №38
ინჟინერი		თ. ხუბუა			
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც.	ფურც.რ
			საპროექტო ხედი	მპრ.	ა-10	10

საპროექტო ხედი



შ.პ.ს. „ტექნო+მ.მ.ჯ“ ქ. რუსთავი, მე-7 მკ/რ-ნი,მე-17 კორპ. ბინა 118					2017 წ.	
არქიტექტორი		ნ. ბერიძე	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედო“	გარდაბნის ფილიალი ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №38		
ინჟინერი		თ. ხუბუა				
			არქიტექტურული ნაწილი	სტადია	ფურც.	ფურც.რ
			საპროექტო ხედი	მ.პრ.	ა-10	10